



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მრელაშვილი ლადო ლევანის ძე



ლ. მრელაშვილი

მრელაშვილი ლადო ლევანის ძე (8. III. 1926, იყალთო, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, - 1. IX. 2006, თბილისი), მწერალი. 1950 დაამთავრა ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი. პირველი ლექსი „ლაზი ვიყავ და ლაზი ვიქნები“ გამოაქვეყნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1948, პირველი წიგნი - პოემა „ზარი სამგორში“ - 1955. მ-ის ყველაზე გახმაურებული რომანია „ყაბახი“ (1969-78), რ-შიც მხატვრულადაა განზოგადებული XX ს. 60-იანი წლების სოფლის ცხოვრება. მის „იყალთოელ ბიჭებს“ (2024) ქართველი ტომ სოიერი უწოდეს.

მ. ავტორია პროზაული და პოეტური კრებულებისა: „ლექსები“ (1959), „განკვეთილი სადავე“ (1970), „თავგადასავალი სამი ლამისა“ (1971), „გზები სავსეა მოულოდნელობებით“ (1973) და სხვ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).

დაკრძალულია მწერალთა და საბ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თბმ.: მუცოს, თორღვაის კარზედა, თბ., 1988; რჩეული თბზულებანი 2 ტომად, თბ., 1990-1992; და შეჰქმნა ღმერთმან კაცი, თბ., 2002.

ი. აბაშიძე
